ოქმი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 16 იანვარს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ე. ოდიშარია, გ. წურწუმია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა, გ. ოდიშარია, ვ. ჩიქობავა, ნ. ხუხუნი, ვ. კირცხალია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზაზა ნაჭყებია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. შომახია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 22 დეკემბერს რეგისტრირებული (სარეგისტრაციო N04-41253571-41) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის N291099 განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 10; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 22 დეკემბერს რეგისტრირებული (სარეგისტრაციო N04-41253571-41) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის N291099 განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 23 დეკემბერს შემოსული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის საფუძველზე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია შეხვდა მოსახლეობას, რა დროსაც მათ დააფიქსირეს თავიანთი აზრი, რომ უსახელო ქუჩა არის ჩიხი და შესახვევი, რომელიც ესაზღვრება დავით აღმაშენებლის ქუჩას. მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, სენაკის მუნიციპალიტეტში, ქალაქ სენაკში, უსახელო ქუჩას ეწოდოს დავით აღმაშენებლის V ჩიხი და დავით აღმაშენებლის IV შესახვევი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადასაგზავნად სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შომახია